

საზღვაო შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის

საქართველოს მთავრობა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობა
შემდგომში „მონაწილე მხარეებად“ წოდებულნი,

სურთ რა, გააძლიერონ მათ შორის არსებული მეგობრული
ურთიერთობები, ხელი შეუწყონ თანამშრომლობას საზღვაო
ტრანსპორტირების სფეროში და განავითარონ ორმხრივი გაჭრობა -
სუვერენული, ტერიტორიული მთლიანობისა და შიდა საკითხებში
ჩაურევლობის პრინციპების თანახმად ორმხრივი თანასწორობისა და
სარგებლიანობის საფუძველზე - შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 გამოყენების სფერო

1. ეს შეთანხმება გამოიყენება საქართველოს ტერიტორიასა და
იტალიის რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

2. ამ შეთანხმების დებულებები არ გამოიყენება თითოეული
მონაწილე მხარის მიერ კანონიერად კონტროლირებადი საქმიანობისა
და ტრანსპორტირების მიმართ, სახელდობრ, ისეთი საპორტო
მომსახურებისათვის, როგორიცაა ბუქსირი, გემის ან ტვირთის გადარჩენა,
პილოტაჟი, სანაპირო ნაოსნობა და კაბოტაჟი, თევზჭერა და სანაოსნო
კალაპოტში საკაბოტაჟო ნაოსნობა.

მუხლი 2 განსაზღვრებები

1. ამ შეთანხმებაში ტერმინი „მონაწილე მხარის გემი“ ნიშნავს
თითოეული მონაწილე მხარის ფიზიკური ან იურიდიული პირების
საკუთრებაში მყოფ ნებისმიერ საგაჭრო გემს, რომელიც
რეგისტრირებულია ამ მხარის ტერიტორიაზე ან ატარებს მის დროშას
მისი კანონების შესაბამისად.

გარდა ამისა, ეს ტერმინი არ შეიცავს:

- ა) საბრძოლო გემებს;
- ბ) ნებისმიერ სხვა გემებს, გამოყენებულს შეიარაღებული ძალების
მიერ და ნებისმიერ სხვა გემებს, სადაც მსახურობენ სამხედრო პირები;

- გ) გემებს, რომლებიც გამოიყენება ჰიდროგრაფიული, ოკეანოგრაფიული და მეცნიერული კვლევისათვის;
- დ) ჰოსპიტალურ გემებს;
- ე) თევზსაჭერ გემებს;
- ვ) გემებს, რომლებიც განკუთვნილია საპორტო, სარეიდო და სანაპირო მომსახურებისათვის, პილოტაჟის, ბუქსირზე აყვანის, ზღვაზე დახმარებისა და სამაშველო მომსახურების ჩათვლით,
- ზ) სასწავლო ან საწვრთნელი გემებს,
- თ) სამთავრობო და ტურისტულ გემებს,
- ი) ტოქსიკური ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილ გემებს.

2. ფრაზა „მონაწილე მხარის ეროვნული საზღვაო კომპანიების მიერ ექსპლუატირებული გემი“ ნიშნავს მონაწილე მხარის ნებისმიერ გემს ისევე, როგორც მისი ეროვნული საზღვაო კომპანიების მიერ დაფარავლ ნებისმიერ გემს, იმ გემების გამოკლებით, რომლებიც მიეკუთვნებიან ზემოაღნიშნული 1 პარაგრაფის (ა) - (ი) კატეგორიებს.

3. ტერმინი „ეროვნული საზღვაო კომპანია“ ნიშნავს ნებისმიერ საგაჭრო საზღვაო კომპანიას, რომელიც ასეთად აღიარებულია შესაბამისი საზღვაო ხელისუფლების მიერ მათი შესაბამისი ეროვნული კანონების თანახმად.

4. ტერმინი „შესაბამისი ეროვნული საზღვაო ადმინისტრაცია“ ნიშნავს:

ა) საქართველოსათვის - ტრანსპორტის სამინისტროს, საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციას;

ბ) იტალიის რესპუბლიკისათვის - ტრანსპორტისა და ნავიგაციის სამინისტროს.

5. ტერმინი „ეკიპაჟის წევრი“ ნიშნავს კაპიტანსა და სხვა ნებისმიერ პირს, რომელიც დაქირავებულია გემზე, რომლის სახელი შეყვანილია ეკიპაჟის სიაში და რომელიც ახორციელებს გემის მართვასა და შენახვასთან დაკავშირებულ სამუშაოებს.

მუხლი 3

ნაოსნობის თავისუფლება

1. ამ შეთანხმების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მონაწილე მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ, რომ ხელმძღვანელობენ თავისუფალი საზღვაო ნაოსნობის პრინციპით და მიმართავენ ძალისხმევას ყველა წინააღმდეგობების აღმოსაფხვრელად, რომლებსაც შეუძლია რამენაირად ხელი შეუშალოს ორ მხარეს შორის ნაოსნობის განვითარებას. ისინი აგრეთვე თავს შეიკავებენ ნებისმიერი დისკრიმინაციული ზომების მიღებისაგან, რომლებსაც შეუძლიათ შეზღუდონ მათი გემების საქმიანობა.

2. თითოეულმა მონაწილე მხარემ ხელი არ უნდა შეუშალოს მეორე მონაწილე მხარის საზღვაო კომპანიების მიერ გამოყენებულ გემებს განხორციელოს ტვირთის ტრანსპორტირება პირველ მონაწილე მხარესა და მესამე სახელმწიფოების პორტებს შორის.

ორივე მონაწილე მხარემ ხელი არ უნდა შეუშალოს მესამე სახელმწიფოების გემებს განხორციელოს ტვირთის ტრანსპორტირება ორივე მონაწილე მხარის პორტებს შორის.

მუხლი 4

პორტებში გემების მიმართ გამოყენებული რეჟიმი

1. თითოეულმა მონაწილე მხარემ უნდა მიანიჭოს მის პორტებში შემაგავალ მეორე მონაწილე მხარის ეროვნული საზღვაო კომპანიების მიერ ექსპლუატირებულ გემებს იგივე რეჟიმი, რომელიც მინიჭებულია მისი დროშის მატარებელი გემებისადმი, რომელიც შეიცავს:

- ა) პორტებში თავისუფალი შეღწევის უფლებას;
- ბ) პორტებში შესვლისა და გამოსვლის უფლებას;
- გ) გადასახადებისა და ჭარბების გადახდას, ისევე, როგორც საზღვაო მოსაკრებლებს;
- დ) საპორტო მოსაკრებლებსა და გადასახადებს;
- ე) საპორტო აღჭურვილობის გამოყენებას, დატვირთვისა და გადმოტვირთვისთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელებლად;
- ვ) მგზავრებისა და ეკიპაჟის ჩასხდომისა და გადმოსხდომისას და ტვირთის დატვირთვისა და გადმოტვირთვისას.

რაც შეეხება ღუზაზე დგომის გადასახადს, ეროვნული რეჟიმი გამოიყენება მხოლოდ მონაწილე მხარეების დროშის მატარებელი გემების მიმართ.

2. თითოეულმა მონაწილე მხარემ მათი შესაბამისი კანონებისა და წესების თანახმად უნდა მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა თავიდან აიცილოს პორტებში გემების შეფერხება და შეძლებისდაგვარად დააჩქაროს ადმინისტრაციული, საბაჟო და სანიტარული ფორმულობების განხორციელება.

3. ამ შეთანხმების დებულებები არ არღვევენ ადგილობრივი ხელისუფლების უფლებებს გამოიყენონ კანონები და წესები, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟოსა და გემებისა და პორტების საზოგადო უსაფრთხოებასთან, ზღვის დაბინძურებისაგან დაცვასთან, ადამიანთა სიცოცხლის დაცვასთან, საზოგადო ტვირთებისა და ტოქსიკური

ნივთიერებების ტრანსპორტირებასთან, მათ იდენტიფიკაციასთან, ისევე, როგორც უცხოელების დაშვებასთან.

4. მეორე მონაწილე მხარეს უნდა ეცნობოს იტალიის კანონმდებლობის, ეროვნული წესებისა და ევროკავშირის კანონების შესახებ, როგორც შედეგი იტალიის ევროკავშირში წევრობისა.

მუხლი 5

გემებისა და გემბანზე მყოფი დოკუმენტების წარმომავლობა

1. თითოეული მონაწილე მხარე აღიარებს მეორე მონაწილე მხარის გემების ეროვნებას, რომელიც დადასტურებულია ნახსენებ გემებზე მყოფი დოკუმენტებით, რომლებიც გაცემული და აღიარებულია მათი შესაბამისი ხელისუფლების მიერ მათი კანონებისა და წესების თანახმად.

2. თითოეული მონაწილე მხარის გემები, რომლებიც აღჭურვილია ტონაჟის სერთიფიკატებით, რომლებიც გაცემულია 1969 წლის გემების ტონაჟის გაზომვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, გათავისუფლებულნი იქნებიან მეორე მონაწილე მხარის პორტებში ტონაჟის ახალი გაზომვისაგან. თითოეულმა მონაწილე მხარემ უნდა აცნობოს მეორე მონაწილე მხარეს ტონაჟის გაზომვის სისტემაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რათა ამ უკანასკნელს მისცეს თანაბარი პირობების განსაზღვრის საშუალება.

მუხლი 6

ეკიპაჟის პირადობის მოწმობები

1. თითოეულმა მონაწილე მხარემ უნდა აღიაროს მეორე მონაწილე მხარის შესაბამის ხელისუფალთა მიერ გაცემული ეკიპაჟის პირადობის მოწმობები.

2. ეკიპაჟის პირადობის მოწმობები შემდეგნაირია:

- ა) საქართველოსათვის - „მეზღვაურის წიგნაკი“;
- ბ) იტალიის რესპუბლიკისათვის - "libretto di navigazione".

მუხლი 7

შესვლის პორტში ეკიპაჟის უფლებები და ვალდებულებები

1. ეკიპაჟის წევრებს, რომლებიც ფლობენ მე-6 მუხლში ნახსენებ პირადობის მოწმობებს უფლება ეძლევათ ჩავიდნენ ნაპირზე ვიზის გარეშე (გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების მიუხედავად) და გაჩერდნენ მუნიციპალურ ზონაში, რომელშიც განლაგებულია შესვლის

პორტი, ნახსენებ პორტში გემის დგომის დროს, იმ შემთხვევაში, თუ ის რეგისტრირებულია გემის ეკიპაჟის რეესტრში და ეკიპაჟის სიაში, რომელსაც კაპიტანი წარუდგენს პორტის ადმინისტრაციას.

2. მათი ნაპირზე გადასვლისა და გემზე დაბრუნების დროს, ეკიპაჟის წევრები უნდა დაექვემდებარონ დაწესებულ კონტროლსა და დაიცვან იმ ქვეყნის კანონები და წესები, რომელშიც განლაგებულია პორტი.

მუხლი 8

ეკიპაჟის უფლებები ტრანზიტისა და ადგილზე ყოფნის დროს

1. თითოეული მონაწილე მხარის მიერ გაცემული და მე-6 მუხლში ნახსენები პირადობის მოწმობების მფლობელებს, რომლებიც არ არიან შეტანილნი ეკიპაჟის სიაში, უფლება ეძლევათ იმოგზაურონ მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიის გავლით (გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების მიუხედავად) თავიანთ გემებთან შეერთების ან ტრანზიტით მეორე გემზე გადასვლის მიზნით. რეპატრაციის ან სხვა ნებისმიერი მიზნის მისაღწევად, რომელიც მისაღებია მეორე მონაწილე მხარის შესაბამისი ხელისუფლებისათვის.

2. 1-ელ პარაგრაფში გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში პირადობის მოწმობები საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილ უნდა იყვნენ მეორე მონაწილე მხარის ვიზით. ასეთი ვიზა უნდა გაიცეს შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში.

3. თუ 1-ელ პარაგრაფში ნახსენები პირადობის მოწმობის ნებისმიერი მფლობელი გადმოსმულ იქნება ერთ-ერთი მონაწილე მხარის პორტში ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ნებისმიერი მიზეზით, რომლის არსებობაც დადასტურებულია შესაბამის ხელისუფალთა მიერ, ამ უკანასკნელმა უნდა უზრუნველყოს ნახსენები პირი საჭირო ნებართვით, რათა მისი პოსპიტალიზაციის შემთხვევაში დარჩეს მის ტერიტორიაზე, დაბრუნდეს წარმოშობის ქვეყანაში ან ტრანსპორტის ნებისმიერი საშუალებით ჩასასხდომათ გაემგზავროს სხვა რომელიმე პორტში.

4. მე-6 და მე-7 მუხლებისა და შემთხვევითი 1-3 პარაგრაფების დებულებების დარღვევის გარეშე, უნდა გამოიყენებოდეს უცხოელების შესვლასთან, დარჩენასა და გაძევებასთან დაკავშირებული მონაწილე მხარის ტერიტორიაზე მოქმედი კანონები და წესები.

5. მონაწილე მხარეები ინარჩუნებენ უფლებას აუკრძალონ შესვლა მათ შესაბამის ტერიტორიებზე ნებისმიერ პირს, რომელიც თუმცა

ფლობს ზემოხსენებულ დოკუმენტებს, მაგრამ არასასურველად მიჩნეულია მონაწილე მხარეების მიერ.

მუხლი 9

საკანონმდებლო პროცედურები ეკიპაჟის წევრის მიმართ

1. თითოეული მონაწილე მხარის ხელისუფლებმა არ უნდა დაიწყონ საკანონმდებლო პროცედურები მათ ტერიტორიულ წყლებში მეორე მონაწილე მხარის გემბანზე ჩადენილი დარღვევების გამო, თუ:

- ა) დარღვევა საშიშროებას უქმნის ქვეყნის უსაფრთხოებას, საზოგადოებრივ წესრიგს ან პორტის უსაფრთხოებას ან არღვევს საზოგადო ჯანმრთელობასთან, ზღვაზე ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებასთან, საზღვაო გარემოს დაცვასთან, საბაჟო და საიმპორაციო პროცედურებთან დაკავშირებულ ეროვნულ კანონებს;
- ბ) დარღვევა, რომელიც ჩაიდინეს ან ჩადენილია იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან ეკიპაჟის წევრები ან წარმოადგენენ იმ მონაწილე მხარის მოქალაქეებს, სადაც იმყოფება გემი;
- გ) დარღვევა დაკავშირებულია იარაღისა და ნარკოტიკული ნივთიერებების გადაადგილებასთან;
- დ) ორივე მონაწილე მხარის კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10

შემთხვევები ზღვაზე

1. თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარის გემი დაიღუპება, შეჯდება მეჩენზე, დაზარალდება ან მოჰყვება მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიულ წყლებში, პორტებში ან სანაპირო ზონაში მომხდარ ნებისმიერ სხვა უბედურ შემთხვევაში, ამ უკანასკნელის შესაბამისმა ხელისუფლებმა უნდა გაუწიოს იგივე დახმარება ეკიპაჟის, მგზავრებისა და ტვირთის გადასარჩენად, რომელიც გაიწევა მათი საკუთარი გემებისა და ტვირთის მიმართ.

2. მონაწილე მხარის კომპეტენტურმა ხელისუფლებმა, რომლის ტერიტორიაზეც მეორე მონაწილე მხარის გემმა განიცადა ავარია (დაზიანება, დაღუპვა, ჩაძირვა ან ნებისმიერი სხვა სახის ავარია), დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინონ მის შესახებ მეორე მონაწილე მხარის უახლოეს საკონსულო წარმომადგენლობას, დაიწყონ ავარიის გამოძიწვევი მიზეზების გამოძიება და უზრუნველყონ ნებისმიერი შესაძლო დახმარება ამ გამოძიების განსახორციელებლად.

3. ავარიაში მოყოლილი გემიდან გადმოტვირთული ან გადარჩენილი ტვირთი და მისი ნაწილი არ უნდა დაექვემდებაროს საბაჟო გადასახადებს ან იმპორტზე დაწესებულ სხვა გადასახადებსა და მოსაკრებლებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ტვირთი იმპორტირებულ, გამოყენებულ და მოხმარებულ უნდა იქნას იმ მონაწილე მხარის ტერიტორიაზე, სადაც მოხდა ავარია. ავარიის შესახებ შეტყობინება შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში უნდა გადაეცეს საბაჟო ხელისუფლებს ამ ტვირთსა და მის ნაწილზე თვალყურის დევნის მიზნით.

4. სამაშველო ოპერაციები და მათი ორგანიზაცია დაქვემდებარებულ უნდა იქნას მათი განმხორციელებელი სახელმწიფოს კანონებისადმი.

5. ამ მუხლის დებულებები არ არღვევენ იმ ქვეყნის კანონებსა და წესებს, სადაც ჩაიდირა გემი, რომლებიც დაკავშირებულია სპეციალურ პორტებში ტვირთის დროებით განლაგებასთან.

მუხლი 11

საზღვაო წარმომადგენლობები

1. საზღვაო და სავაჭრო ნაოსნობის დარგში ურთიერთობების უმეტესობა განვითარებისათვის ორივე მხარის შესაბამისი ხელისუფლება ნებას დართავს საკუთარ ტერიტორიაზე მეორე მონაწილე მხარის საზღვაო წარმომადგენლობების შექმნას მეორე მონაწილე მხარის პორტებში მათი გემების ყოფნასთან დაკავშირებული ოპერაციების ხელშეწყობის მიზნით.

ამ საზღვაო წარმომადგენლობების რიცხვი შეთანხმებულ იქნება შესაბამის ხელისუფლებს შორის.

მუხლი 12

შემოსავლის გადარიცხვა

1. თითოეულმა მონაწილე მხარემ მეორე მონაწილე მხარის საზღვაო კომპანიებს უნდა მისცეს ამ შეთანხმების თანახმად მის ტერიტორიაზე განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა და მოგების გამოყენების უფლება, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება დაფაროს აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები.

2. თითოეულმა მონაწილე მხარემ აღნიშნულ კომპანიებს უნდა მისცეს მეორე მონაწილე მხარის ტერიტორიაზე ამ შემოსავლისა და მოგების თავისუფლად გადარიცხვის უფლება.

3. ეს გადარიცხვები განხორციელებულ უნდა იქნას შეძლებისდაგვარად უმოკლეს გადაში, კონვერტირებადი ვალუტის გამოყენების შეზღუდვის გარეშე, გადარიცხვების მომენტში არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით. ოფიციალური გაცვლითი კურსის არარსებობის შემთხვევაში, გადარიცხვების განხორციელება უნდა მოხდეს გარიგებებისათვის არსებული მიმდინარე საბაზრო კურსით.

მუხლი 13 კონსულტაციები

ამ შეთანხმების სრულყოფილი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მონაწილე მხარეები საჭიროების შემთხვევაში გამართავენ კონსულტაციებს ორმხრივი შეხვედრების ხელშესაწყობად.

თუ ამ შეთანხმების ინტერპრეტაციის ან გამოყენების დროს წარმოიქმნება ნებისმიერი დავა, ეს დავა მოგვარებულ უნდა იქნას ორმხრივი მოლაპარაკებების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული, ის მოგვარებულ უნდა იქნას დიპლომატიური არსების მეშვეობით.

მუხლი 14 შეთანხმების გადასინჯვა

1. ეს შეთანხმება შეიძლება შეცვლილ ან გადასინჯულ იქნას ერთ-ერთი მონაწილე მხარის თხოვნის თანახმად. ეს თხოვნა შეტყობინებულ უნდა იქნას წერილობით ან დიპლომატიური არსების მეშვეობით.

2. ეს შესწორება ან შესწორებები მიღებულ უნდა იქნას მეორე მონაწილე მხარის კომპეტენტური ორგანოს მიერ და მიეცეს ფორმალური სახე ნოტის გაცვლით დიპლომატიური არსების მეშვეობით.

3. ეს ცვლილებები ძალაში შევა იმ დღიდან, როდესაც ორივე მხარე შეატყობინებს ერთმანეთს მათი შესაბამისი შიდა პროცედურების შესრულების შესახებ.

მუხლი 15
ძალაში შესვლა, მოქმედების გადა, შეწყვეტა

1. ეს შეთანხმება ძალაში შევა მონაწილე მხარეების მიერ მათი შესაბამისი კანონმდებლობების აუცილებელი მოთხოვნების შეთანხმების შემდეგ სარატიფიკაციო დოკუმენტების გაცვლის დღიდან.

2. ეს შეთანხმება ძალაში დარჩება ხუთი წლის განმავლობაში. ის შეიძლება განახლებულ იქნას შემდგომი ხუთი წლის გადით, თუ ერთ-ერთი მონაწილე მხარე დიპლომატიური არხების მეშვეობით ექვსი თვით ადრე არ შეატყობინებს მეორე მხარეს მისი დენონსაციის შესახებ. თითოეულმა მონაწილე მხარემ დიპლომატიური არხების მეშვეობით უნდა შეატყობინოს თავისი გადაწყვეტილება ამ შეთანხმების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. ამ შემთხვევაში, შეთანხმება შეწყვეტს მოქმედებას ექვსი თვის შემდეგ, მეორე მონაწილე მხარის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან.

ამის დასტურად, თავიანთი მთავრობების მიერ სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ ხელის მომწერებმა ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას.

ხელმოწერილია ქ. რომში 1997 წლის „15“ მაისს, ორ ეგზემპლარად, ქართულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე, სამივე ტექსტს აქვს თანაბარი ძალა. ინტერპრეტაციის დროს განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

**საქართველოს მთავრობის
სახელით**



**იტალიის რესპუბლიკის
მთავრობის სახელით**

